ხელშეკრულება № 7
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. საგარეჯო 28 იანვარი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ. შ. ვაგიბ ახმედოვის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორბიტა ა და ზ“ , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორი ავთანდილ დავითაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონელი: (CPV: 19500000 რეზინის ხელთათმანები- 44,50 ლარი, 24300000 ქლორ- 40,70 ლარი, 24900000 წებო- 4,80 ლარი, 30100000 ჭიგარტი- 14,00 ლარი, 31500000 ნათურა- 12,00 ლარი, 37400000 ბურთები- 132,00 ლარი, 37800000 ცარცი- 140,00 ლარი, 39200000 ცოცხები და ჯაგრისები და სხვა და სხვა ტიპის ნივთები- 116,00 ლარი, 39700000 ელ. მატუყარა- 40,00 ლარი, 39800000 საწმენდი და საპრიალებელი პროტუქდები- 134,00 ლარი) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 678,00 (ექვსასსამოცდათვრამეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე საგარეჯო, სოფ. იორმუღანლო.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 10 მარტი ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლა ს/კ 238121750 მის: საგარეჯო, სოფ. იორმუღანლო ტელ: 577 64 32 42 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE78LB0121175029508000 **დირექტორი** _____ (ხელმოწერა)	შპს “ორბიტა ა და ზ” ს/კ 438107745 მის.: ქ. საგარეჯო ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE61LB01131632082450000 **დირექტორი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ერთ. წებო	24910000	ცალი	16	0,30	4,80
2	ჭიკარტი	30197120	ცალი	19	1,00, 0,50	14,00
3	იად. ჯოხი	39224200	ცალი	5	5,00	25,00
4	ნათურა	31531000	ცალი	20	0,60	12,00
5	ფხვნილი	39831200	ცალი	23+1	1,00, 19,00	42,00
6	საბონი	39831200	ცალი	10	2,70	27,00
7	ვედრო	39224330	ცალი	6	4,50	27,00
8	იატაკის დილო	39831300	ცალი	10	2,5	25
9	იადაკის დილო	39831300	ცალი	16	2,00	32,00
10	ცოცხი	29224100	ცალი	8	5,00	40,00
11	სახეხი ჩოთქა	39224300	ცალი	2	5,00	10,00
12	თამტი	19500000	ცალი	81+7	4,50, 2,50	22,00
13	ქლორი	24311900	ცალი	20	2,00	40,00
14	პარკი	24311900	ცალი	3	0,20, 0,30	0,70
15	აქანდაზი	39224350	ცალი	7	2,00	14,00
16	ცარცი (100ც)	37822300	ცალი	10	12,00	120,00
17	ელ. მადუღარა	39715100	ცალი	21	40,00	40,00
18	ფეხბურთის ბურთი	37422100	ცალი	3	20,00	60,00
19	ფრენბურთის ბურთი	37422100	ცალი	3	24,00	72,00
20	ცარცი (10 ც)	34722100	ცალი	620	1,00	20,00
21	რეზინის ხელთათმანი	19500000	ცალი	4	2,50	10,00
22	სველი სალფეტკი	33741100	ცალი	5	2,50	12,50
23	მტვირის საწმენდი ტილოები	39525300	ცალი	8	1,00	8,00
24						
	სულ					678,00

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ
იორმუღანლოს საჯარო სკოლის
დირექტორი მ. შ. /ვაგიბ ახმედოვი/

შპს „ორბიტა ა და ზ“-ის დირექტორი /ავთანდილ დავითაშვილი/